ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №43-48

2019 წლის 25 ივნისი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 29/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016600) შევიდეს ცვლილება და პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტით ჩამოყალიბებული მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ზონების აღმნიშვნელი საგზაო მონიშვნები უნდა იყოს თეთრი ფერის, ხოლო მათი ფორმა და ზომა, ასევე ზონალური პარკირების ადგილებზე პარკირების საფასურის აღმნიშვნელი დამატებითი ინფორმაციის ნიშნები (დაფები) განისაზღვრება დანართი 3-ს შესაბამისად.“;

ბ) მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მე-7 მუხლს მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

„8^1. პარკირების ადგილის აღმნიშვნელი საგზაო მონიშვნების ფორმა და ზომები განისაზღვროს დანართი 4-ის შესაბამისად.“;

გ) მე-4 პუნქტის „ი.ბ“ ქვეპუნქტით დამატებული მე-10 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ზონალური პარკირების ადგილზე პარკირების საფასურის გადახდა, გარდა ამ მუხლის მე-7 და 9^1 პუნქტებით გათვალისწინებული საშუალებებისა, შესაძლებელია ზონალური პარკირების ადგილიდან დაახლოებით 50 მეტრის მანძილზე დამონტაჟებული სპეციალური ელექტრონული მოწყობილობის საშუალებით ან ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული საშუალებით, რის შესახებ პარკირების ოპერატორმა უნდა აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას.“;

დ) მე-4 პუნქტის „ი.ბ“ ქვეპუნქტით დამატებული მე-10 მუხლის მე-9 პუნქტის შემდეგ ჩაემატოს შემდეგი შინაარსის 9^1 პუნქტი:

„9^1. სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა ან/და მესაკუთრემ, ზონის მიხედვით პარკირების საფასურის გადახდა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული მისამართის: www.parking.tbilisi.gov.ge ან მობაილ აპლიკაციის Tbilisi Parking მეშვეობით. ელექტრონული მისამართის: www.parking.tbilisi.gov.ge და მობაილ აპლიკაციის Tbilisi Parking გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (ს/ნ 405026877).“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე